ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:ბ76. 76240467
თარიღი:15/02/2024

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პრივატიზების

მიზნით პირობებიანი ელექტრონული აუქციონების გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-2 პუნქტის; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“–ს მე-5 მუხლის; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის N12 დადგენილების პირველი მუხლის; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 თებერვლის N16 და N17 განკარგულებების

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით პირობებიანი ელექტრონული აუქციონები შემდეგ უძრავ ქონებებზე:

1.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ.ნიკორწმინდაში (დაბა ხარისთვალა) მდებარე 3434 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 86.11.31.802.

1.1.1. საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი საპრივატიზაციო საფასური - 240 400 ლარი (ორასორმოციათასოთხასი) ლარი, ბე საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 120 200 (ასოციათასორასი) ლარი, ბიჯი საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 5% - 12 020 (თორმეტიათასოცი) ლარი.

1.1.2. ელექტრონული აუქციონის პირობები:

1.1.2.1. ქონების შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1(ერთი) წლის ვადაში უზრუნველყოს კომერციული ან საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობის მშენებლობა მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

1.1.2.2. ქონების შემსყიდველმა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს ქონების სრული ღირებულება.

1.1.3. ელექტრონული აუქციონის დაწყების თარიღი – 2024 წლის 19 თებერვალი 11:00 საათი; დასრულების თარიღი – 2024 წლის 04 მარტი 11:00 საათი.

2.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ.ნიკორწმინდაში (დაბა ხარისთვალა) მდებარე 1500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 86.11.31.806.

2.1.1. საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი საპრივატიზაციო საფასური 60 000 ლარი (სამოციათასი) ლარი, ბე საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 50 % - 30 000 (ოცდაათიათასი) ლარი, ბიჯი საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 5% - 3 000 (სამიათასი) ლარი.

2.1.2. ელექტრონული აუქციონის პირობები:

2.1.2.1. ქონების შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1(ერთი) წლის ვადაში უზრუნველყოს კომერციული ან საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობის მშენებლობა მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

2.1.2.2. ქონების შემსყიდველმა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს ქონების სრული ღირებულება.

2.1.3. ელექტრონული აუქციონის დაწყების თარიღი – 2024 წლის 19 თებერვალი 11:00 საათი; დასრულების თარიღი – 2024 წლის 04 მარტი 11:00 საათი.

3.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ.ნიკორწმინდაში (დაბა ხარისთვალა) მდებარე 1 507 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 86.11.31.809.

3.1.1. საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი საპრივატიზაციო საფასური - 75 350 ლარი (სამოცდათხუთმეტიათასსამასორმოცდაათი) ლარი, ბე საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 50 %- 37 675 (ოცდაჩვიდმეტიათასექვსასსამოცდათხუთმეტი) ლარი, ბიჯი საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 5% - 3 767 (სამიათასშვიდასსამოცდაშვიდი) ლარი.

3.1.2. ელექტრონული აუქციონის პირობები:

3.1.2.1. ქონების შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1(ერთი) წლის ვადაში უზრუნველყოს კომერციული ან

საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობის მშენებლობა მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

3.1.2.2. ქონების შემსყიდველმა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს ქონების სრული ღირებულება.

3.1.3. ელექტრონული აუქციონის დაწყების თარიღი – 2024 წლის 19 თებერვალი 11:00 საათი; დასრულების თარიღი – 2024 წლის 04 მარტი 11:00 საათი.

2. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ **www.eauction.ge-ზ** მეშვეობით.

3. დაევალოს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილებას აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებ-გვერდზე **www.eauction.ge.**

4. წინამდებარე ბრძანება და აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე **www.ambrolauri. gov.ge.**

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ამბროლაური კოსტავას ქ. №13).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი